

შპს “გასკო +”-ს
ფინანსური ანგარიშგების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

საქართველო, სენაკი, წმ. ნინოს N 1

შინაარსი

ხელმძღვანელობის წერილი.....	3
ფინანსური ანგარიშგება.....	4
მოგება და ზარალის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა	8
შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	8
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ძირითადი საშუალებები	11
5. არამატერიალური აქტივები.....	12
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	13
7. საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა.....	13
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
11. საწესდებო კაპიტალი	14
12. შემოსავალი.....	14
13. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	15
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
15. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა.....	15
16. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	18

ხელმძღვანელობის წერილი

შპს გასკო+ (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდ 239894325 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მომზადდეს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება , რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ წარმოებულ ოპერაციების შედეგებს, ფულად სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფსს) შესაბამისად

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართულ ბუღალტრულ პრინციპების არჩევასა და მათთან მიმდევრულ დმესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით რომელიც უზრუნველყოფს მართულ საიმედო შესადრის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართულ და გონივრულ გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედ საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელ ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთ საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მსს ფსს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად
- კომპანიის აქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონფიდენციალურობის განხორციელებაზე
- თაღობის, შეცდომებისა და სხვა დრუგების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადსტრუბულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს.

დრექტორი----- დმიტრი პაკკორია

ფინანსური ანგარიშგება

(თ ა ნ ხ ე ბ ი მ ო ც ე მ უ ლ ა ლ რ ე ბ შ ი)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,775,797.66	768,547.71
არამატერიალური აქტივები	5	8,879.93	8,455.20
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,784,677.59	777,002.91
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	991.00	6,595.19
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	699,297.92	673,475.88
მარაგები	8	60,446.09	65,288.24
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		760,735.01	745,359.31
სულ აქტივები		6,545,412.60	1,522,362.22
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200.00	200.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		815,050.12	801,039.06
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		815,250.12	801,239.06
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	5,680,112.05	700,287.94
საგადასახადო ვალდებულებები		50,050.43	20,835.22
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,730,162.48	721,123.16
სულ ვალდებულებები		5,730,162.48	721,123.16
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,545,412.60	1,522,362.22

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დამტკიცების პაქკორია- დირექტორი

მოგება და ზარალის ანგარიშგება

იმ საანგარიშო წლებისათვის, რომელზეც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(თანხები მოცემულია ლრებში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	12	3,356,341	2,508,858
თვითღირებულება	13	(2,418,054)	(1,774,768)
საერთო მოგება		938,287	734,090
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(865,893)	(672,828)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(26,021)	(40,776)
სხვა ხარჯები	15	(32,722)	(6,780)
საოპერაციო მოგება		13,651	13,706
ფინანსური შემოსავალი		360	32,077
ფინანსური ხარჯი	17	-	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		-	-
მოგება დაბეგვრამდე		14,011	45,782
მოგების გადასახადი	18	-	-
წმინდა მოგება		14,011	45,782
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		14,011	45,782

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დimitრი პაჭკორია - დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

იმ საანგარიშო წლისათვის, რომელზეც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(თა ნ ხ ე ბ ი მ ო ც ე მ უ ლ ა

ლ რ ე ბ შ ი)

	შენიშვნა	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება		14,011
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		46,990
- ცვლილება	4/5	45,372
- მოგების გადასახადი	18	-
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	15	-
- მარაგების გაუფასურება	15	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება/ჩამოწერა		1,618
- ცვლილება ანარიცხებში		-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებ		-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		-
- წმინდა ფინანსური ხარჯი	17	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		4,988,059
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	(25,822)
- მარაგები	8	4,842
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	4,979,824
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		29,215
- გადავადებული შემოსავალი		-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი		5,049,061
- გადახდილი პროცენტები	17	-
- გადახდილი მოგების გადასახადი	18	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო		5,049,061
ფულადი ნაკადები საინვესტიციო		
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების	4/5	(5,054,665)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თ	4/5	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა		-
გაცივებული სესხები		-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო		(5,054,665)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	11	0
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	11	-
- გადახდილი დივიდენდები		-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო		-
გააღვლითი პურსის ეფექტისგან გამომწვეული		
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების		(5,605)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები		6,595
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები		991

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დიმიტრი პაჭკორია - დირექტორი

ს ა კ უ თ ა რ კ ა პ ი ტ ა ლ შ ი ც ვ ლ ლ ბ ე ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

იმ ს ა ა ნ გ ა რ ი შ ო წ ლ ს ა თ ვ ი ს , რ ო მ ე ლ ც და ს რ უ ლ და 2019 წ ლ ს 31
დე კ ე მ ბ ე რ ს

(თა ნ ხ ე ბ ი მ ო ც ე მ უ ლ ა

ლ რ ე ბ შ ი)

შპს გასკო+
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	200		755,257	755,457
წმინდა მოგება	-	-	45,782	45,782
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალ	-	-	45,782	45,782
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2018 წლის 31 დეკემბერი	200	-	801,039.06	801,239
წმინდა მოგება	-	-	14,011	14,011
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალ	-	-	14,011	14,011
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2019 წლის 31 დეკემბერი	200	-	815,050	815,250

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერი და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დიმიტრი პაჭკორია - დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს გასკო+ (შემდეგში “კომპანია”), შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამეწარმეო კოდექსით, რომელიც დაარსდა 2007 წლის 10 აგვისტოს და თავისი კომერციული საქმიანობა დაიწყო იმავე წელს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: წმ. ნინოს ქუჩა, N 1, ქ.სენაკი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის ქსელის მშენებლობა, ბუნებრივი აირის მეურნეობის მომსახურება და ექსპლუატაცია. კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 239894325. საზოგადოება რეგისტრირებულია დღგ-ს | გადამხდელ კომპანიის ძირითადი საბანკო ანგარიში გახსნილია სს ლიბერთი ბანკის ცენტრალურ ფილაში - N: GE85LB01131 11327509000.

კომპანიამ დადო მომსახურების გრძელვადიანი ხელშეკრულება სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ-თან (ს/ნ 203845312) (კომპანია, რომელიც საქმიანობს ბუნებრივი აირის საბითუმო ბაზარზე). აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია 100 % მარაგდება სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი-დან.

კომპანიის შესყიდვების უმეტესი ნაწილი მოდის ბუნებრივი აირი (სოციალური-ს) შეძენიდან, ხოლო შემოსავლების ნაწილში ჭარბობს შემოსავლების ბუნებრივი აირი (კომერციული-ს) რეალიზაციიდან. შესაბამისად, კომპანია ეკონომიკური თვალსაზრისით მასზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, კომპანიის საქმიანობა და ფასწარმოქმნის განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის და სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის მოთხოვნებთან.

კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია სამეურნეო საქმიანობას წარმართავს საქართველოში. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ართულებს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს - ან საერთოდ მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას - კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

3.1. მომზადების საფუძველი

შპს გასკო+-ის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მფლობელებთან შეთანხმებული სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა იხილეთ ქვემოთ.

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში: საკუთარი კაპიტალის

ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის, პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3.2. ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ვალუტა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგი:

კატეგორია	სასარგებლო მომსახურების (წელი)	ვადა
შენობა-ნაგებობები	50	
დანადგარები და აღჭურვილობა	5-12	
დანადგარები და მოწყობილობები	5-10	

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

3.4 მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლის გაწევაც საჭიროა მარაგების შესაძენად და დანიშნულების ადგილამდე მისატანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებია და გაყიდვის ხარჯები.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურებისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3.6 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაშთს, დეპოზიტებს მოთხოვნამდე და მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს შემენიდან სამთვლიანი ან ნაკლები გადახდის ვადით, რომლებიც ექვემდებარებიან რეალური ღირებულების ცვლილების არამნიშვნელოვან რისკებს.

3.7 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტის მიწოდების შედეგად წარმოქმნილი ზენორმატიული დანაკარგის დღე, რომელიც ზოგადად კომპანიისთვის მიღებული თანხაა.

3.8 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

3.9. სესხები

კომპანიას სასესხო ვალდებულებები არ გააჩნია.

3.10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

3.11. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან აღიარდება, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულია. მომსახურება გაწეულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნებრივი აირის მიღება მომხმარებლებთან დაფიქსირებულია შესაბამის მრიცხველში.

აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად ბუნებრივი აირის დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს 5%. ტექნიკური დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას კომპანიის მიერ მოცემულ თვეში მიღებული ბუნებრივი აირის რაოდენობასა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

და კომპანიის მიერ კონკრეტულ თვეში მომხმარებლებისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის რაოდენობას შორის. სსკ-ის თანახმად ნებისმიერი სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და ნორმის შორის განიხილება, როგორც კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბუთი გაყიდვები. 2016 წელს კომპანიის ფაქტობრივმა დანაკარგებმა შეადგინა 7.7 % რამაც გამოიწვია დღგ-სთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებების წარმოქმნა და შესაბამისად აღიარდა მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიში.

ლარი	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2,282,132	2,502,454
ნედლეულის რეალიზაცია	-	-
მომსახურების რეალიზაცია	258,760	188,416
	2,540,892	2,690,870

3.12. თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ლარი	31/12/2018	31/12/2017
შრომის ანაზღაურება	210,499	132,464
	210,499	132,464

3.13. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებისა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანაზღაურებები.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	მიღსადენ ები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სატრანს პორტო საშუალო ბები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	დაუმონტ აჟებული მოწყობი ლებები	ჯამი
ლარში									
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	63,185	758,650	-	1,000	7,419	-	-	830,254
შესყიდვა		5,338	5,046,326	-	-	502	-	-	5,052,165
გასვლა		1,619	-			-			1,619
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	66,905	5,804,975	-	1,000	7,921	-	-	5,880,801
დაგროვილი ცვეთა									
2018 წლის ბოლოს მდგომარეო	-	14,720	43,904	-	150	2,932	-	-	61,707
ცვეთის ხარჯი		6,618	35,168	-	125	1,530	-	-	43,441
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		144	-			-			144
2018 წლის ბოლოს მდგომარეო	-	21,194	79,072	-	275	4,463	-	-	105,003
საბალანსო ღირებულება									
2018 წლის ბოლოს	-	48,465	714,745	-	850	4,487	-	-	768,548
2019 წლის ბოლოს	-	45,711	5,725,903	-	725	3,458	-	-	5,775,798

5. არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	10,168			10,168
შემოსავლა	2,500			2,500
გასვლა				-
2019 წლის ბოლოს	12,668	-	-	12,668

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2018 წლის ბოლოს	1,713			1,713
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	2,075			2,075
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2019 წლის ბოლოს	3,788	-	-	3,788

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2018 წლის ბოლოს	8,455	-	-	8,455
2019 წლის ბოლოს	8,880	-	-	8,880

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და საწვავ-საცხებ მასალებს, რომლის ძირითადი სახეობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	-	-
ნედლეული	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
საქონელი	60,446	65,288
სხვა მარაგები	-	-
	60,446	65,288

7. საგადასახდო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა

საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახდო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 50050 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახდო ვალდებულება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახდო აქტივების და ვალდებულებების ნეტო სიდიდე შეადგენს საგადასახდო ვალდებულებას 22580 ლარის ოდენობით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	687,939	660,447
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
სხვა მოთხოვნები	11,359	13,029
	699,298	673,476

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ლარში	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	57	21
ფული საბანკო ანგარიშებზე	934	6,575
	991	6,595

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	5,680,112	698,973
გადასახელი ხელფასები	-	1,045
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
	5,680,112	700,288

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

11. საწესდებო კაპიტალი

სააგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 200 ლარს.

12. შემოსავალი

ამონაგები 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის რეალიზაცია	3,356,341	2,508,858
ნედლეულის რეალიზაცია	-	-
მომსახურების რეალიზაცია	-	-
	3,356,341	2,508,858

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

13. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

სხვა ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. გახარჯული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის თვითღირებულება	2,418,054	1,774,768
ნედლეულის თვითღირებულება	-	-
მომსახურების თვითღირებულება	-	-
	2,418,054	1,774,768

2. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31/12/2019	31/12/2018
სარეკლამო ხარჯები	59	-
საწვავის ხარჯი	23,431	17,976
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	2,530	22,800
რეალიზაციის დანახარჯები	-	-
	26,021	40,776

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	353,464	209,168
ცვეთა და ამორტიზაცია	45,372	19,924
საგადასახადო ხარჯი	-	-
საკონსულტაციო ხარჯი	2,119	847
რემონტის ხარჯი	-	-
ბანკის მომსახურება	1,505	1,208
დაზღვევის ხარჯი	3,819	-
იჯარის ხარჯი	406,800	406,800
მივლინების ხარჯები	180	90
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	44,363	27,432
კომუნიკაციის ხარჯები	8,272	7,360
	865,893	672,828

15. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები. აგრეთვე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვაქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდური ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუსაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა სმასახურების ხელმძღვანელებზე.

მენეჯმენტის საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე.

თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ.

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგით.

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს დებიტორული დავალიანების ვადიანობის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს.

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორე ვალუტის ფასის ცვლილებით. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი სამუშაო ვალუტას არ წარმოადგენს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ.. საბაზრო მოვლენები როგორცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით

- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

16.კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა.
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

17..საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 28 სექტემბერს